KA990180661244420

258/09

03 / თებერვალი / 2020 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზურაბ სეხნიაშვილს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი
მოწყობის,ინფრასტრუქტურის განვითარების,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
უფროსის იოსებ ღარიბაშვილის

**მოხსენებითი ბარათი**

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ ი/მ ,,ჰამლეტ მელიწკაურს" ხელშეკრულებებით (1. N184 და 2. N185) აღებული ჰქონდა ვალდებულება ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში 1. სოფელ ჭიკაანის მისასვლელი გზის შეკეთების და 2. სოფელ დავითურნში მისასვლელი გზის შეკეთების სამუშაოების შესრულებაზე. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით).

გაცნობებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (N1394/ს 28.06.2018 წ.), ზედამხედველობის გაწევაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ შემოწმებული იქნა აღნიშნული ობიექტები და გაწვდით ინფორმაციას, რომ სამშენებლო სამუშაოები არ არის დაწყებული.

ასევე, დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებების მოქმედების ვადები გასულია.

გთხოვთ, დაავალოთ მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის
განვითარების, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსი

იოსებ ღარიბაშვილი